F567/3156

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

სპეშიალის სპა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-9 წელი

№ 13 (131)

სექტემბერი,

1965 წელი



პირველი სექტემბრის სიხარული.

ინჟინრები მეცნიერები ხდებიან

ჟუთაისი. ჟუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ექსპერიმენტული საამქროს უფროსის მოადგილე ინჟინერი ი. ქოჩიაშვილი რამდენიმე წელია, რაც წარმოებისაგან მოწყვეტილ მეცნიერულ მუშაობას ეწევა. მან შარშან დაამთავრა თბილისის მაწყანამძღვრებლის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ასპირანტურა. ინჟინრის ნაშრომი — „ავტომობილის ძრავის ავტომატური საქეტი“ გამოქვეყნებული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შრომებში.


ი. ქოჩიაშვილმა შექმნა მთის პირობებში ავტომობილის მუშაობისათვის სამუხრუჭე მოწყობილობის რამდენიმე ვარიანტი. ერთ-ერთი მათგანი პირველად დაიდგა ჟუთაისის აეტოსაწევარზე „606-ა“, რომელიც ახლა წარმატებით გადის სახელმწიფო გამოცდას.

სამეცნიერო მივლინებაშია საინსტრუმენტო საამქროს ინჟინერი ჯუმბერ სამყურაშვილი. სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლობს მეტალურგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ასპირანტურაში. ჯუმბერ სამყურაშვილის სადისერტაციო თემაა „ინსტრუმენტების ჩამოსხმა პროგრესული ტექნოლოგიით“. ასპირანტის ხელმძღვანელია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი მეტალურგიის ინსტიტუტის დირექტორი ფ. თავაძე.

მუშაობას წარმატებით უხმაბებს სწავლას ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის დირექტორი ა. დადუნაშვილი. წელს იგი უკანასკნელ საკანდიდატო საგანს ჩააბარებს, შემდეგ კი დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ულტრაბგერის გამოყენება აბრეშუმის მრეწველობაში“. დადუნაშვილი ბევრი საყურადღებო რაციონალიზატორული წინადადების ავტორია, რომელთა დანერგვითაც საწარმომ დაზოგა 200 ათას მანეთზე მეტი წელიწადში.

ახლახან მოსკოვის საფეიქრო ინსტიტუტის ასპირანტურა დაამთავრა ქუთაისის მაუდის ფაბრიკის უფროსმა ინჟინერმა ი. ფიჩხაძემ, ამჟამად იგი მუშაობს სადისერტაციო თემაზე „ხელოვნური ბოჭკოს გამოყენება საფეიქრო მრეწველობაში“.

გამარჯობა, სკოლავ!



თბილისი. 1 სექტემბერს დილიდანვე თბილისის ქუჩები გაივსო ბავშვებით. ან რა გასაკვირია — ათასობით ნორჩი თბილისელი სკოლისაკენ მიიჩქაროდა.

აი პიონერის ქუჩა. მოდიან თეთრხალათიანი და წითელყელსახვევიანი ბავშვები. ბავშვთა ნაკადი მატულობს. და აი უველა ახლომდებარე ქუჩიდან მოდიან მოსწავლეები აქ № 129 ახალი სკოლის შენობასთან, რომელიც ახლახან აშენდა.

აქ არიან მხიარული, აღფრთოვანებული უფროს კლასელები და ამაყი, ოდნავ დარცხვენილი პატარები. სკოლის ეზოში გაისმის მისალმების შეძახილები, ბავშვები ერთმანეთს უზიარებენ ზაფხულის არდადეგების შთაბეჭდილებებს, ეცნობიან ახალ ამხანაგებს.

* * *

რუსთავი. მხიარულად და საზეიმოდ დაიწყო სასწავლო წელი რუსთავის მე-11 საშუალო სკოლაში. ეს არის 960 მოსწავლისათვის გათვალისწინებული ახალი სკოლა მშენებელ მუშათა დაბაში.

ყვავილების თაიგულებით დაამშვენეს კლასები და დერეფნები. გოგონებმა და ბიჭებმა ეს ყვავილები უძღვნეს სტუმრად მოსულ მშენებლებს. „ბინმშენის“ სამმართველოს უფროსმა მ. ჯაშმა სკოლის კარის გასაღები საზეიმო ვითარებაში გადასცა დირექტორს ა. ხიზანიშვილს, უსურვა მოსწავლეებს წარმატებანი სწავლაში.

19 ათასი მოსწავლე იმეცადინებს ახალ სასწავლო წელს ქართველ მეტალურგთა და ქიმიკოსთა ქალაქის 23 სკოლაში.

* * *

ცხაკაია. რაიონში დიდი სამუშაოები განხორციელდა ახალი სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების მოსამზადებლად. კაპიტალურად შეკეთდა 18 სკოლა და საბავშვო დაწესებულება, ხოლო მიმდინარე რემონტი მოეწყო 9 სასკოლო შენობასა და საბავშვო ბაღში. სასკოლო laბორატორიებისა და სახელოსნოებისათვის შეძენილია დიდძალი ინვენტარი და მოწყობილობა.

* * *

„საქჰიდროენერგომშენის“ დაბის პატრა მცხოვრებლებმა ახალი სასწავლო წლისათვის კარგი საჩუქარი მიიღეს. აქ „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტის დამხმარე საწარმოთა კომბინატის ინიციატივით ააგეს 964 ადგილიანი ახალი სამსართულიანი სკოლის შენობა.

სკოლა შედგება ოთხი კორპუსისაგან. პირველ კორპუსში მოთავსებულია სასპორტო და სააქტო დარბაზები. სხვა კორპუსების პირველ სართულებში მოწყობილია ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის ლაბორატორიები, სასწავლო კაბინეტები. სკოლაში გახსნილია სადურგლო, საზეინკლო და სახარატო სახელოსნოები, სპეციალური ავტოკაბინეტი.

„საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტმა საკუთარი სახსრებით სკოლის გვერდით ააგო 135 ადგილიანი საბავშვო ბაღი-ბაგა.

კიროვის სახელობის რაიონში უსინათლოთა საზოგადოებამ საკუთარი სახსრებით ააშენა 440 ადგილიანი ოთხსართულიანი სკოლის შენობა.

ახალ სკოლაში წელს ისწავლიან დიღმის, საბურთალოს, სოლანლუღის, ლენინისა და 26 კომისრის სახელობის რაიონების მოსწავლეები.

პირველ სექტემბერს ჩვენს რესპუბლიკაში ორმოცდახუთი ახალი კეთილმოწყობილი სკოლის კარი გაიღო.

ცხრაასი ათასზე მეტი მოსწავლე მიუსხდა რესპუბლიკის 4.300 სკოლის მერხებს.

* * *

სურათზე: პირველი სექტემბერი, 1965 წელი. ფიზიკის პირველი გაკვეთილი თბილისის პირველ საშუალო სკოლაში.

34 ოქროს მედალი

ყურძნისა და შამპანური ღვინოების და კონიაკების საერთაშორისო კონკურსი

ათი დღის განმავლობაში, 1-დან 11 სექტემბრამდე თბილისში შამპანური ღვინოების ქარხნის სააქტო დარბაზში მიმდინარეობდა ყურძნისა და შამპანური ღვინოების და კონიაკების საერთაშორისო კონკურსი. ეს იყო ნაყოფიერი და სახარგებლო შეხვედრების, გამოცდილების გაზიარების, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტებსა და მეღვინეებს შორის კონტაქტების დამყარების დღეები.

სადეგუსტაციოდ სულ წარმოდგენილი იყო მსოფლიოს 26 ქვეყნის მეღვინეობის ფირმებისა და ორგანიზაციების 864 ნიმუში, რომელთაგან ოქროს მედალი მიიღო 329 ნიმუშმა, ვერცხლისა — 466, ბრინჯაოსი — 43.

საუკეთესო წარმატება მოიპოვეს კონკურსზე საქართველოს მეღვინეებმა და ქართული კონიაკის ოსტატებმა. ქართული წარმოების 34 ნიმუშმა (ღვინო, კონიაკი, შამპანური) მიიღო ოქროს მედალი, 29 ნიმუშმა — ვერცხლისა, ხოლო 2 ნიმუშმა ბრინჯაოს მედალი.

* * *

სურათზე: კონკურსის მონაწილეები (მარცხნიდან მარჯვნივ) რომის ღვინობის ექსპორტის ფირმის პრეზიდენტი ჯ. ვალენტინო, ღვინის ქარხნების ფირმის მფლობელი ჯ. ანდი (თურქეთი) და ქ. პატრასის მეღვინეობის საწარმოთა კომერციული დირექტორი ანტოლოპულოსი (საბერძნეთი) ეცნობიან ყვარლის მიწისქვეშა მარანს.





ხელმაძღლიანი დასტაქარი და მეცნიერი

იცნობდეთ სახელოვან თანამემამულეებს

პროფესორ გიორგი ინასარიძის სახელი დღეს კარგად არის ცნობილი მთელ ჩვენს ქვეყანაში, მას იცნობენ როგორც უბადლო ექიმსა და დასტაქარს, შესანიშნავ მეცნიერსა და პედაგოგს. გიორგი ინასარიძე 50-ზე მეტი მეცნიერული შრომის ავტორია. მან მედიცინაში დანერგა მრავალი ძვირფასი სიახლე, შეიმუშავა მკურნალობის ახალი მეთოდები. იგი ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო უროლოგ-სპეციალისტად მთელ ჩვენს ქვეყანაში. ამ თხუთმეტი წლის წინათ მისი ხელმძღვანელობით თბილისში, ტუბერკულოზის სამეცნიერო-საკვლევ რესპუბლიკურ ინსტიტუტში პირველად დაარსდა ფტიზიოუროლოგიური განყოფილება. მრავალი წლის განმავლობაში იგი იყო ამ ინსტიტუტის დირექტორი, ხოლო უროლოგიის განყოფილებას დღესაც ის ხელმძღვანელობს.

ახლა ის 57 წლისაა, მაგრამ კვლავ ახალგაზრდული ენერგიით შრომობს და იღვწის. ამ ჩუმ, თავმდაბალ კაცს ყველაფერზე მეტად სიმშვიდე, მუყდროება და წესრიგი უყვარს და თვით პროფესორის ახლომლებისთვისაც კი ძნელი წარმოსადგენია, რომ იგი მოხალისედ წავიდა ომში, რომ მან საკუთარი თვალით ნახა, თავის მხრებზე გადაიტანა ომის ყველა საშინელება.

1939 წელს თეთრფინელებთან ომი რომ ატყდა, გიორგი ინასარიძე ლენინგრადში ცხოვრობდა. იგი აქ აკადემიკოს კ. ბიკოვისა და პროფესორ გორაშის ხელმძღვანელობით მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა მესამე სამედიცინო ინსტიტუტის უროლოგიის კლინიკასა და საკავშირო ექსპერიმენტული მედიცინის ინსტიტუტში. იგი იყო ამ ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის გამგე და უფროსი მეცნიერი მუშაკი. ამ დროს გიორგი უკვე მედიცინის მეცნიერების კანდიდატი იყო.

მან ჯერ კიდევ 1936 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1939 წლისათვის უკვე დამთავრებული ჰქონდა სადოქტოროც. სადოქტორო დისერტაციის თემა იყო „შარდსასქესო ვენური წნულის ცვალებადობის უკიდურესი ტიპები და მათი კლინიკური მნიშვნელობა“. ამ შრომამ საბოლოოდ განამტკიცა გიორგი ინასარიძის მეცნიერული ავტორიტეტი.

და აი ახლა ომი რომ დაატყდა ქვეყანას, ახალგაზრდა ექიმმა გადაწყვიტა ფრონტზე წასულიყო. იგი საველე მოძრავ ქირურგიულ ჰოსპიტალში დანიშნეს ქირურგად უხტის ფრონტზე. ეს იყო ომის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე უბანი. დაჭრილი ბევრი იყო. ახალგაზრდა დასტაქარს მთელი დატვირთვით უხდებოდა მუშაობა. ხშირად იგი საოპერაციო ოთახიდან არ გამოდიოდა არც დღე, არც ღამე. არ შეეძლო, გული უფლებას არ აძლევდა მიეტოვებინა დაჭრილები, რომლებიც წველას ელოდნენ მისგან, და სადილისათვის ან დასაძინებლად წასულიყო, ვინ მოსთვლის, რამდენი უძილო ღამე გაუთენებია საოპერაციო მაგიდასთან, ვინ მოსთვლის, რამდენი მებრძოლის სიცოცხლე გამოსტაცა სიკვდილს.

თეთრფინელებთან ომი რომ დამთავრდა, გიორგი ინასარიძე კვლავ აკადემიკოს კ. ბიკოვის ლაბორატორიას და უროლოგიურ კლინიკას დაუბრუნდა. ხოლო მალე, 1940 წლის დეკემბერში პროფესორმა ა. წულუკიძემ თბილისში მოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ ლენინგრადში ინასარიძე გამოჩენილ მეცნიერებთან მუშაობდა და კარგი რეპუტაციაც ჰქონდა, მას არ შეეძლო უარი ეთქვა თანამემამულის მოწვევაზე და მაშინვე გამოემგზავრა.

საქართველოში იგი ყოველმხრივ მომზადებული დაბრუნდა ღრმა და სერიოზული მეცნიერული მუშაობისათვის. გამოჩენილ სპეციალისტებთან მრავალი წლის მუშაობამ, ომში საველე ჰოსპიტალში მიღებულმა გამოცდილებამ ახალგაზრდა მეცნიერს ბევრი რამ შესძინა. თბილისში ჩამოსვლისთანავე გიორგი ინასარიძე მთელი ენერგიითა და გატაცებით ჩაება მეცნიერულ მუშაობაში.

მშვიდობიანი შემოქმედებითი მუშაობა დიდხანს არ გაგრძელებულა. დიდი სამამულო ომი დაიწყო თუ არა, სამხედრო კომისარიატში გამოცხადდა და არმიაში გაწვევა მოითხოვა.

მალე იგი უკვე ფრონტის ხაზზეა და ერთ-ერთი სამთო დივიზიის 121-ე სამედიცინო-სანიტარულ ბატალიონში სატერიტორო ქირურგიულ განყოფილებას ხელმძღვანელობს. განყოფილებას ათამდე კაცი ემსახურებოდა. თვითეულზე განკუთვნილი იყო თითო ცხენი, ქირურგიული იარაღები და მედიკამენტები.

მთებში, უგზო და მიუვალ ადგილებზე ბრძოლების დროს ექიმები — გიორგი ინასარიძე და მისი ამხანაგები ცხენებით მიდიოდნენ ფრონტის წინა ხაზზე გადაუდებელი ქირურგიული დახმარების გასაწევად. გიორგი ცხენოსნობაში დიდად გაწაფული არ იყო და პირველ ხანებში უჭირდა ცხენით ასეთი მოგზაურობა, მაგრამ მალე მიეჩვია და ყოველთვის იქ გაჩნდებოდა, სადაც ეს ყველაზე საჭირო იყო.

სულ მალე ქართველი ექიმის მაღალი ოსტატობა და გულისხმიერება დაჭრილი მეომრებისადმი მთელ დივიზიაში გახდა ცნობილი. გიორგი ინასარიძე ბატალიონის უფროსის თანაშემწედ დანიშნეს სამედიცინო დარგში. აქაც მან კვლავ გამოიჩინა თავი როგორც ბრწყინვალე სპეციალისტმა და ორგანიზატორმა.

1942 წლის მაისში გიორგი ინასარიძე უკვე 46-ე არმიის მთავარი ქირურგია. ამ თანამდებობის პირს არ ევალებოდა ფრონტის ხაზზე ყოფნა და საველე პირობებში მებრძოლებისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. მაგრამ მას ერთხელაც არ უცდია ზურგში დარჩენილიყო და თავი აერიდებინა საფრთხისათვის. იგი ყველგან, ყოველგვარ პირობებში აკეთებდა ყველაზე რთულ ქირურგიულ ოპერაციებს. ხშირად მის გვერდით ფეთქდებოდა ყუმბარები, ზუზუნებდნენ ტყვიები, მაგრამ გიორგის ერთხელ ფიქრადაც კი არ გაუვლია თავი შეეფარებინა. უმწეო მდგომარეობაში ხომ ვერ მიატოვებდა დაჭრილებს, რომლებსაც სასწრაფო ქირურგიული დახმარება ესაჭიროებოდათ!

მას კარგად ესმოდა დიდი პასუხისმგებლობა, რასაც მას არმიის მთავარი ქირურგის მაღალი თანამდებობა ავალებდა. მის უნარსა და გამჭრიახობაზე იყო დამოკიდებული ასობით ადამიანის ბედი და თვით სიცოცხლე. ამის შეგნებით, ამ ღრმა რწმენით იგი საფრთხეში აგდებდა საკუთარ სიცოცხლეს, რომ ეხსნა სხვები. რამდენჯერ მუცელზე ხოხვით მისულა ფრონტის წინა ხაზზე, რომ საკუთარი თვალით ენახა, თუ როგორ უწევენ ადგილზე პირველ სამედიცინო დახმარებას დაჭრილებს, ადგილზევე მიეცა საჭირო მითითებები და განკარგულებები.

მთავარი ქირურგი მიდიოდა ფრონტის ერთი უბნიდან მეორეზე ზოგჯერ ქვეითად, უფრო ხშირად ცხენზე ამხედრებული, რადგან სხვა ტრანსპორტი კავკასიონის მთებსა და ორწოხებში გამოუსადეგარი იყო.

ერთხელ ქლუხორის უღელტეხილთან ვიწრო ბილიკზე ცხენი დაუგორდა. კლდიდან ხრამში გადავარდა. სიკვდილს ძლივს გადაურჩა. ფეხი მოიტეხა. მაგრამ ზურგში წასვლაზე და ჰოსპიტალურ მკურნალობაზე უარი განაცხადა. მოტეხილ ფეხზე უმოძრაო ნახვევი დაიდო და მუშაობას განაგრძობდა. ასეთ პირობებში, როცა თვითონ მას ტკივილი აწუხებდა და ფეხზე ძლივს იდგა, არაერთი ქირურგიული ოპერაცია გაუკეთებია.

არმიის მთავარ ქირურგს ფრონტის ხაზიდან უახლოეს ჰოსპიტალამდე ზოგჯერ სანიტარული თვითმფრინავითაც უხდებოდა მოგზაურობა, და ეს ნაკლებ რისკთან და ხიფათთან როდი იყო დაკავშირებული. ერთხელ ბეწვზე გადაურჩა დაღუპვას. ეს იყო 1942 წლის შემოდგომაზე, კავკასიონის მთებში გაჯიფთრებული ბრძოლების დროს. ფრონტის ხაზი ფსხუს აეროდრომის ახლოს, სანჩარის უღელტეხილზე გადიოდა. გიორგი ინასარიძეს დავალებული ჰქონდა ამ ადგილებზე არმიის სანიტარული ნაწილებისა და საველე ქირურგიული ჰოსპიტლების მოწყობა და რეორგანიზაცია. მას შეეძლო ყველა საჭირო განკარგულება ადგილიდან გაეცა, მაგრამ არ მოისურვა ეს და სოხუმიდან სანიტარული თვითმფრინავით — „კუკურუზნიკით“ გაფრინდა ფსხუს აეროდრომისაკენ, რომელსაც დროდადრო გერმანელები ბომბავდნენ.

გასცდა თუ არა თვითმფრინავი დოუს უღელტეხილს და დაშვება დააპირა, პილოტმა შენიშნა, რომ ფსხუს აეროდრომს მტრის თვითმფრინავები ბომბავდნენ, ხოლო ქვემოდან ჩვენი მეზენიტეები ყუმბარებს უშენდნენ მომხდურს.

დაშვება შეუძლებელი იყო, არც უკან დაბრუნება ივარგებდა. მაშინ პილოტმა გადაწყვიტა თავი შეეფარებინა და დალოდებოდა გერმანელთა ბომბდამშენების წასვლას. „კუკურუზნიკი“ ვიწრო ხეობაში შეფრინდა და რამდენიმე წუთის მანევრირების შემდეგ უკანვე დაბრუნდა, მაგრამ მტრის თვითმფრინავები კვლავ აეროდრომს დასტრიალებდნენ. ჩვენმა თვითმფრინავმა კვლავ ხეობისაკენ იბრუნა პირი, მაგრამ ამ მომენტში იგი უკვე შენიშნა მტერმა. სამი „მესერშმიტი“ გამოუდგა.

გერმანელთა ავიაგამანადგურებლები სწრაფად უახლოვდებოდნენ თვითმფრინავს. ჩვენები სრულიად უმწეონი იყვნენ მტრის წინააღმდეგ, ვერც გაქცევით უშველიდნენ თავს, ვერც პირისპირ შეებმებოდნენ მტერს...

— გიორგი ზახარიჩ, ვიღუპებით, — განწირული ხმით დაუყვირა პილოტმა გიორგის და მართლაც ახლო იყო აღსასრულის წუთი. სწორედ ამ დროს სრულიად მოულოდნელად ჩვენი ავიაგამანადგურებლები გამოჩნდნენ და „მესერშმიტებს“ ეცვნენ.

ნახევარი საათის შემდეგ არმიის მთავარი ქირურგი მშვიდობით დაეშვა ფსხუს აეროდრომზე და იქვე მოუხდა პირველი ოპერაციის გაკეთება დაჭრილი მეზენიტეებისათვის, ერთ-ერთი მათგანი თვითონვე ატარა საკაცით კილომეტრნახევარზე, ვიდრე ტყეში სამედიცინო სანიტარულ ბატალიონში არ მიიყვანა.

(დასასრული მე-6 გვერდზე).

გეკარის წყალი

მაიაკოვსკი. ეს მოხდა 150 წლის წინათ. ბაღდადაბასთუმნის გზის გაყვანის დროს ზეკარის უღელტეხილის მახლობლად, ხმირი ტყით დაფარულ მთებს შორის, მშენებლებმა დაინახეს ტბა. იგი თბილი იყო. გარშემო გოგირდის მძაფრი სუნი იდგა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მეცნიერებმა გამოიკვლიეს ზეკარის მინერალური წყლის შემადგენლობა და თვისებები. აშენდა რამდენიმე კოტეჯი, წყალსამკურნალო, გაიხსნა მაღაზიები.

ამ დღეებში აქ საექსპლოატაციოდ გადასცეს 50 საწოლიანი სასტუმრო-პანსიონატის სამსართულიანი შენობა. ახლა კურორტზე ერთსა და იმავე დროს ისვენებს და მკურნალობს 260 კაცი.

ზეკარის წყალსამკურნალო, რომელიც 25 კილომეტრით არის დაშორებული მაიაკოვსკს, მდებარეობს ზღვის დონიდან 700 მეტრზე. სამკურნალო წყალი გოგირდის გარდა შეიცავს ბატრიუმს, ცალციუმს, მაგნიუმს, რკინას. წყლის ტემპერატურა მთელი წლის განმავლობაში 36 გრადუსს უდრის.

ზეკარის სამკურნალო წყალი რეკომენდებულია რევმატიზმის, ნერვული სისტემის დაავადების, სისხლძარღვებისა და გინეკოლოგიურ დაავადებათა დროს. განსაკუთრებით ეფექტიანია ზეკარის გოგირდიანი წყალი რევმატიზმით დაავადებული ბავშვების სამკურნალოდ.

კურორტზე ბევრი დამსვენებელი ჩამოდის ყოველდღიურად ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან.

საავადმყოფო ზღვასთან

განთიადი. შავი ზღვის ნაპირას ლესელიძის მახლობლად აშენდა საავადმყოფო უბანი. იგი შეიქმნა განთიადის საავადმყოფოს ბაზაზე და მოიცავს 30 ათას ჯაჭს.

უკვე დამთავრდა ქირურგიული კორპუსის მშენებლობა, მუშაობს ტუბერკულოზის დისპანსერი. კომპლექსში იქნება აგრეთვე სამშობიარო სახლი.

საავადმყოფო აღიჭურვება ახალი სამედიცინო მოწყობილობით, მაგალითად, აქ იქნება ბპარატურა გაზის ნარკოზისათვის.

აქ მუშაობენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. უკვე 16 წელია საავადმყოფოს ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი გიორგი გიგინეიშვილი, მალარიასთან ბრძოლის თვალსაჩინო სპეციალისტი. მან დიდი წვლილი შეიტანა დასავლეთ საქართველოში ამ მძიმე ავადმყოფობის ლიკვიდაციის საქმეში.

მოსახლეობის დიდი სიყვარული აქვს მოპოვებული აგრეთვე ქირურგიული განყოფილების გამგეს სერგო გუგუციძეს, რომელმაც ახლახან მოიპოვა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. აქ, სოფლის საავადმყოფოში შეიმუშავა საზარდულის თიაქრის ოპერაციის ახალი ეფექტიანი მეთოდი, რომელიც შეიძლება მიეკუთვნოს პლასტიკური ქირურგიის დარგს.

ბევრ შრომასა და ცოდნას აქსოვენ საყვარელ საქმეს სამშობიარო განყოფილების გამგე ფრიდა ალპეროვიჩი, ცოლ-ქმარი ლუდმილა და გიორგი ხუციშვილები, თერაპევტი მარიამ ფეიდეროვსკაია, რენტგენოლოგი მიხეილ კოჩკოთანი და საავადმყოფოს სხვა ენთუზიასტები.

რუსთაველის პროსპ



თბილისი ზღაპრულად იზრდება და იცვლის სახეს. სახეს იცვლის მისი მთავარი ქუჩაც — რუსთაველის პროსპექტი. ამ პროსპექტს გავუყვები იმ მარშრუტით, რომლითაც ბავშვობისას გემნაზიაში დავდიოდი, მაშინ ბელინსკის ქუჩის სულ ბოლოში, მთის ძირას ვცხოვრობდით. ყოველ დილით ზურგზე მოსწვავლის ჩანთამოკიდებული იზაილოვის ქუჩის დაღმართით დავეშვებოდი ხოლმე მოსკოვის კარიბჭესთან, საიდანაც იწყებოდა გოლოვინის პროსპექტი — ამჟამად რუსთაველის პროსპექტი.

იქვე მოსკოვის კარიბჭესთან იდგა დახურული ბაზარი — „ყაფაი“, რომლისკენაც მიემართებოდნენ დატვირთული ურმები და სახედრები. ბაზრის გარშემო იდგა სამკიტნოები, ქოხმახები, მათ უკან მთის ფერდობებზე შეფენილი იყო პატარა სახლები, შემდეგ კი აღძართული იყო რუსული ეკლესია. ამ ეკლესიის ახლოს ღარტაფიდან ნაკადული ჩადიოდა. წვიმიან დღეებში იგი იზრდებოდა, ბობოქარ პატარა მდინარედ იქცეოდა, ქუხილით ეშვებოდა მთიდან, თან უზარმაზარი ქვები ჩაჰქონდა და ხერკავდა მოსკოვის კარიბჭეს პროსპექტის დასაწყისში. ქალაქში მაშინ ჯერ კიდევ არ იყო წყალსადინარები.

პროსპექტის დასაწყისში, ვერის დაღმართის პირდაპირ იყო მტკვრისაკენ დახრილი ღრმა ორმოებიანი, ხრამებიანი და ხეხარცვებიანი უშენო ადგილი. ამ ადგილზე იდგა ცხენის ფოსტის შენობა, საიდანაც საქართველოს სამხედრო გზით კავკავამდე მიდიოდნენ ეკიპაჟები, ჩარდახიანი ეტლები, ლიხეიჯები და ტარანტასები.

ყოველივე ეს ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ იყო. მას შემდეგ გარშემო დიდი ცვლილებები მოხდა. მოსკოვის კარიბჭე, ზემელის აფთიაქის შენობა, რომლის ახლოს ვიწროლიანდაგიანი ტრამვაის პატარა ღია ვაგონში ვჯდებოდი, ახლა აღებულია. ამ ტრამვაის ის იყო შეცვალა „კონკა“. გაფართოვდა ვერის დაღმართი — ავჟაბად ელბაქიძის დაღმართი. მას ასე ეწოდა იმ მუშის პატივსაცემად, რომელიც 1920 წელს დაიღუპა მას შემდეგ, რაც ამ დაღმართზე ბომბი ესროლა მანქანაში მჯდომ გენერალ ბარათოვს — დენიკინის ელჩს მენშევიკურ საქართველოში. ელბაქიძის დაღმართისა და პროსპექტის დასაწყისთან ჯერ კიდევ მეფის დროს აგებდა კოოპერატივ შემკობილი დიდი საცხოვრებელი სახლი. ამ მშენებლობას ბევრი ფული და შრომა მოხმარდა, რადგან შეხობა აგებულ იქნა, როგორც უკვე ვთქვით, ღრმა ორმოებიან და ხვეებიან ადგილზე. ამ შენობის პირდაპირ აღებულ იქნა აგრეთვე მთელი რიგი პატარა სახლები და მათ ადგილზე ახლა აღმართულია საქართველოს ქვანახშირის ტრესტის ამ ცოტა ხნის წინათ აგებული მრავალსართულიანი კომბინატი. იგი ბოლონისის ოქროსფერი ქვით არის მოპირკეთებული. კომბინატის შიდა ეზოა ამკობს კიდული საბაგირო გზის ქვედა სადგურის აჟურული შენობა. აქ დიდი გამოცოცხლებაა, ყოველთვის ბევრია ხალხი, რომელიც ცდილობს მოძვდეს მთაწმიდის ალატზე, სადაც გაშენებულია პარკი და საიდანაც თითქოს ხელისგულზე მოჩანს თბილისი და მის გარშემო მდებარე მთები. ღამით კი, როცა ლამპიონები აინთება, ქალაქი ვარსკვლავებით მოჭედილ გადაბრუნებულ ცასა ჰგავს.

საქართველოს ქვანახშირის კომბინატის იქით პატარა და ვიწრო მოედანია, სადაც თავს იყრიან რუსთაველის პროსპექტი, მისი გაგრძელება — ვ. ი. ლენინის, მოსკოვის, ჯავახიშვილის ქუჩები და ელბაქიძის დაღმართი. ამ მოედანზე მაღალ კვარცხლბეკზე დგას უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის დიდი რუსთაველის მონუმენტი, შესრულებული მოქანდაკე კ. მერაბიშვილის მიერ. მოხუმენტს სამი მხრიდან შემოვლებული აქვს მარადმწვანე კედარები. ეს მოედანი რუსთაველის სახელს ატარებს. მოედანზე მზადამ დიდი მოძრაობაა. მიუხედავად იმისა, რომ ის ადგილი, სადაც მას რუსთაველის პროსპექტი და ელბაქიძის დაღმართი უერთდებიან, მნიშვნელოვნად არის გაფართოებული, ქალაქის ტრანსპორტის მოძრაობისათვის აქ მაინც ცოტა ადგილია. მოედანი თავისთავად მოითხოვს ახალ რეკონსტრუქციას. რუსთაველის მოედანი რატომ არის ასე პატარა და ვიწრო? საქმე ის არის, რომ მთაწმინდის კლდოვანი ფერდობები ყველაზე მეტად ამ ადგილას



უახლოვდებიან მტკვარს, ისინი ავიწროებენ და ბოჭავენ ქალაქის რაიონის იმ დასახლებულ ნაწილს, რომელიც მოდანს ეკვრის.

რუსთაველის პროსპექტი ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანს რუსთაველის მოედანთან აერთებს. იგი მთაწმინდას გასდევს და ოდნავ მოხრილია ცენტრალურ ნაწილში. მთის ფერდობებიდან პროსპექტზე ჩამავალ ქუჩებს დიდი დაქანება აქვთ.

მთაწმინდის ციცაბო ფერდობთა ღარტაფების გაყოლებით მდებარე რაიონები მთლიანად შედგება ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული ქუჩებისაგან, სადაც პატარა სახლებია, და კარგად ჩანს რუსთაველის პროსპექტიდან. ისინი არავითარ ჰარმონიას არა ქმნიან პროსპექტთან. მაგრამ ამ კონტრასტის თავიდან ასაცილებლად საჭირო გახდებოდა აშენებულიყო ახალი რაიონები ტერასების პრინციპით. ასეთი რაიონები კარლოვი ვარში მინახავს. ისინი უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენენ. მაგრამ ეს მომავლის საქმეა, და მას ვანდობთ ადამიანებს, რომლებიც თბილისის რეკონსტრუქციაზე მუშაობენ.

ელბაქიძის დაღმართისა და რუსთაველის პროსპექტის კუთხეში მდგომი დიდი საცხოვრებელი სახლის გვეოდით აღებულ იქნა ცხენის ფოსტის შენობა, მის უკან მდებარე ქოხმახები და მათ ადგილზე გაყვანილია ფართო ქუჩა, რომელსაც გასასვლელი ელბაქიძის დაღმართზე აქვს. აქედან გადაიწალა საუცხოო პანორამა მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე ნაწილისა, მახათას მთის ფერდობებზე განლაგებული რაიონებისა, მის იქით კი გაპობნდა მცირე კავკასიონის ქედები. ქუჩის გაყოლებით დაირგო დიდი მარადმწვანე კედარები. ახალი ქუჩის წინ შეიქმნა მახჭახჭების მოსაბრუნებელი პატარა მოედანი. ამ მოედანზე ერთმანეთს ერთვიან: ახალი ქუჩა, რუსთაველის პროსპექტი, ხოლო მთაწმინდის მხრიდან — გრიბოედოვისა და საოჯიშვილის ქუჩები.

ვ. ი. ლენინის სახელობის მოედნისაკენ თუ წახვალთ, დაინახავთ მარქსიზმ-ლენინიზმის ინ-ტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობას, რომელიც მთავრობის, მუშახტეთა, კავშირგაბმულობის სახლებთან, კინოთეატრ „რუსთაველთან“ და საქართველოს მუზეუმთან ერთად აშენებულია საბჭოთა ხელისუფლების წლებში და რესპუბლიკის დედაქალაქის ნამდვილი მშვენებაა. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის შენობის მთავარი შესასვლელის მარჯვენა და მარცხენა მხარეს დგას მარმარილოა გიგანტური წახნაგოვანი სვეტები. ფასადი შემკობილია იაკობ ნიკოლაძის ძიერ შესრულებული დიდი ბარელიეფებით, ხოლო მთავარი კარიბჭის თავზე ფრიზის შემქმნელია ფამარ ახალაია. ინსტიტუტის შენობა საბჭოთა ეპოქის ერთ-ერთი საუკეთესო ძეგლია.

ცოტას კიდევ რომ გაივლით, მიადგებით ოპერისა და ბალეტის თეატრის შესანიშნავ შენობას, აგებულს 1896 წელს მავრიტანული სტილით. იგი ლამაზ ბაღში დგას და ფასადით პროსპექტზე გამოდის. თბილისი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ყველაზე მუსიკალური ქალაქია. თბილისის ოპერის თეატრი მღეროდნენ შალიაპინი, სობინოვი, სმირნოვი, ვანო სარაჯიშვილი, სანდრო ინაშვილი, კოზლოვსკი და მსოფლიოში განთქმული სხვა მომღერლები. ამ თეატრში იდგმებოდა ქართული ოპერის ფუძემდებლების ზ. ფალიაშვილის, დ. არაყიშვილის, მ. ბალანჩივაძის და სხვა კომპოზიტორთა პირველი ოპერები. აქ 1917-18 წლებში იმართებოდა ამიერკავკასიის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების პირველი ყრილობები, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოს კომპარტიის პირველი ყრილობები. ოპერის ბაღის მარცხენა კიდეშია კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილის საფლავი. აქ სძინავს „საქართველოს ბულბულს“ ვანო სარაჯიშვილს. აქვე იყო დადგმული ურნა ახალი ფორმების დაუცხრომელი მაძიებლის რეჟისორ კოტე მარჯანიშვილის ფერფლით. ეს ურნა ახლა მთაწმინდის პანთეონშია გადატანილი. ოპერის ბაღის ნამდვილი სამკაული და ღირსშესანიშნაობა სახალხო პოეტის აკაკი წერეთლის ძეგლი. ეს დიდი რიდენის მოწაფის, მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის მაღალნიჭიერი და მთავრონებული ქმნილებაა. პოეტს მაღლა აუწევია მეფური თავი, წიხასწარმეტყველის თავი, შეჰყურებს მთაწმინდას და, თითქოს ლოცვას კითხულობსო, შესთხოვს მშობლიურ მხარეს ახსოვდეს და შეასრულოს მისი ანდერძი:

დედაშვილობამ ბევრს არ გთხოვ:
შენს მიწას მიმაბარეო,
ცა — ფირუზ, ხმელეთ — ზურმუხტო
ჩემო სამშობლო მხარეო.

საოპერო თეატრის ახლოს, თითქმის სასტუმრო „თბილისის“ გვერდით დგას როკოკოს სტილით აგებული შესანიშნავი შენობა რუსთაველის სახელობის დრამატული თეატრისა, სადაც 1922 წელს გაბედულმა და მაღალნიჭიერმა რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა, რუსეთიდან საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, ნამდვილი თეატრალური ხელოვნების ცეცხლი აანთო: მან შექმნა დასი ახალგაზრდა მსახიობთაგან, განაახლა და დიდ სიმაღლეზე აიყვანა ქართული თეატრი. რუსთაველის სახელობის თეატრის გახტროლები ნამდვილი ზეიმი და აღმოჩენა იყო მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებისათვის. ამ თეატრში დაიბადნენ და გაიზარდნენ კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე მარჯანიშვილის მიერ მთელი ხელობით გამოზრდილი სახელგანთქმული რეჟისორები და მსახიობები. რუსთაველის სახელობის თეატრში არაერთხელ გამოსულან ა. ლუნაჩარსკი, ვლ. მაიაკოვსკი და საბჭოთა კულტურის სხვა გამოჩენილი მოღვაწენი.

გასცდებით რუსთაველის პროსპექტისა და ჯორჯიაშვილის ქუჩის კუთხეში მდგომ სასტუმრო „თბილისის“ ორსართულიან შენობას, რომლის მშენებლობა დაიწყო კიდევ 1901 წელს დამთავრდა, და მიადგებით კინოთეატრ „ბაღს.

ᲒᲔᲥᲢᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ!

ჯორჯიაშვილის (ყოფილ ბარიატინსკის) ქუჩაზე 1906 წლის 1 იანვარს მუშა არსენ ჯორჯიაშვილმა ბომბით მოკლა ხალხის უბოროტესი ჯალათი, კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი გენერალი გრიაზნოვი. ჯოჯუნარეების (ყოფილ ალექსანდრეს) ბაღში 1918 წლის 10 თებერვალს ამიერკავკასიის მენშევიკების, მუსავატისტების და დაშნაკების მთავრობამ დახვრიტა ამიერკავკასიის სეიმის გახსნის წინააღმდეგ ბოლშევიკების საპროტესტო მიტინგის მონაწილენი, სეიმისა, რომელსაც იურიდიულად უნდა გაეფორმებინა ამიერკავკასიის გამოყოფა საბჭოთა რუსეთისაგან... ამ ბაღში პროსპექტისაკენ პირშექცეული დგას ახალგაზრდა გორკის მეგობრის, საქართველოს გამოჩენილი პროლეტარული მწერლის ე. ნინოშვილის ბიუსტი. იქვე ფასადით პროსპექტისაკენ მოქცეულია „დიდების ტაძარი“, რომელსაც შემდეგში „სურათების გალერია“ ეწოდა. შენობის მარცხენა ფრთის წინ გამოჩენილი კომუნისტებისა და სამოქალაქო ომის სახელგანთქმული გმირების — ფაბრიციუსის, მოგილევსკის, მიასნიკოვის, ათარბეკოვის, ვ. სტურუას, ა. გეგეჭკორის საფლავებია. ამ ბაღის გვერდით აღებულ იქნა მაღაზიების შენობები, რომლებიც ქაშვეთის ეკლესიას ეფარებოდნენ, და მათ ადგილას გაშენებულია სკვერი.

თეთრი ქვით ნაგები, ჩუქურთმებით შემკული და მაღალი, ლამაზი გუმბათით დამშვენებული ქაშვეთის ეკლესია, რომელიც არქიტექტურული თვალსაზრისით უნიკალური სამთავისის ძველი ეკლესიის ასლს წარმოადგენს, სრულებით არ შეეხამებოდა სამხედრო სახაზინო ტაძრის მძიმე, ულამაზო შენობას, რომლის ადგილზეც ახლა აგებულია მთავრობის სახლი. იგი სადა, მონუმენტურია და ეროვნული ფორმით გამოხატავს სოციალისტური ეპოქის სიდიადეს.

მთავრობის სახლსა და საბჭოთა დროში აშენებულ კავშირგაბმულობის სახლს შუა გაშენებულია სკვერი. წინათ ამ ადგილას იდგა მაღალი გალავანი, რომლითაც რუსთაველის პროსპექტისაგან გამოყოფილი იყო ვაჟთა პირველი გიმნაზიის ეზო, ამ გიმნაზიდან გამოვიდნენ საქართველოს ისეთი მოწინავე ადამიანები, როგორიც იყვნენ გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, სოლომონ დოდაშვილი, ილია ჭავჭავაძე და სხვები.

სკვერში, მთავრობის სახლის ახლოს, მაღალ და განიერ კვარცხლბეკზე დგანან ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ორი მედროშე. ისინი ერთმანეთის გვერდით დგანან და თითქოს წყნარად საუბრობენ თავიანთი სამშობლოსა და მთელი კაცობრიობის ბედზე, მათი სახით თითქოს ერთმანეთს შერწყმია საქართველოს სული და გული.

სკვერისა და მთავრობის სახლის შემდეგ იწყება კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილი სასახლე და პარკი, ამჟამად პიონერთა სასახლე. ყოფილი სასახლის შენობათა კომპლექსი გადაწეულია პარკის სიღრმეში, ხოლო სვეტებიანი ფასადი პროსპექტზე გამოდის. სასახლის წინ ფართო ხეივანია.

მახსოვს კავკასიის ახალი მეფისნაცვლის ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე რომანოვის საზეიმო ჩამოსვლა ამ სასახლეში პირველი მსოფლიო ომის დროს და მისი სამარცხვინო გაქცევა.


თებერვლის რევოლუციისა და პეტროგრადში ძალაუფლების დროებითი მთავრობის ხელში გადასვლის შემდეგ კავკასიის მეფისნაცვალმა, ტახტიდან ჩამოგდებული მეფის ბიძამ, ამ სასახლეში მიიწვია მენშევიკების პარტიის ლიდერები, საქართველოს ეგზარქოსი, თბილისის ქალაქის თავი და სთხოვა მათ დაშმარებოდნენ წესრიგის დაცვაში. მათ ანგარიში გაუწიეს მეფისნაცვლის სურვილებს და მაშინვე აღუთქვეს, რომ მთელი ძალღონით იმოქმედებენ ანარქიის გამარჯვების წინააღმდეგ. მაგრამ დრო მიდიოდა. მოვლენათა გრიგალი ძირს უთხრიდა იმ წესრიგს, რომელიც მეფისნაცვალმა და დროებითი მთავრობის წარმომადგენლებმა დაამყარეს ამიერკავკასიაში. მახსოვს ხალხისა და რევოლუციურ ჯარისკაცთა დიდი თავშეყრა ამ პროსპექტზე. დამფრთხალი მეფისნაცვალი, რომელსაც ჯარისკაცები ყიჟინითა და გინებით მიაცილებდნენ, ვაგზლისაკენ მიეშურებოდა. მეფისნაცვალმა მოასწრო ჩამჯდარიყო სპეციალურ მატარებელში, რომელიც წინასწარ დატვირთეს საიდუმლო დოკუმენტებით და ამ სასახლიდან გატანილი ფასეულობებით...

დრო მიდიოდა... სწრაფად განვითარებულმა მოვლენებმა მთელი სამყარო შეარყია... 1917 წლის 25 ოქტომბრის წინაღამეს პეტროგრადის მუშებმა შეიარაღებული აჯანყების დროშა აღმართეს.

მახსოვს მენშევიკური საქართველოს მთავრობის გაქცევა ამ სასახლიდან, სადაც მოთავსებული იყო მისი დამფუძნებელი კრება.

პროსპექტის მეორე მხარეს, პიონერთა სასახლის პირდაპირ ამაყად აღმართულა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შენობა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში დამთავრდა.

გრიბოედოვის სახელობის თეატრს, უნივერმაღსა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბს რომ ჩაუვლით, გადიხართ ცენტრალურ მოედანზე — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელობის მოედანზე. მოედნის გარშემო მდებარე შენობებიდან ყურადღებას იპყრობს თბილისის საქალაქო საბჭოს შენობა, რომელიც აგებულია გასული საუკუნის 80-იან წლებში. 1921 წლის 25 თებერვალს ეს მოედანი



მოწმე გახდა დიდი ისტორიული მოვლენისა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ამ დღეს, მენშევიკური მთავრობის განდევნის შემდეგ, აჯანყებულ მუშათა და გლეხთა რაზმები, რომლებიც წითელი არმიის ნაწილებთან ერთად მოიწვდნენ, საქართველოს დედაქალაქში შემოვიდნენ. ქალაქის ცენტრალურ მოედანზე საზეიმო მიტინგის შემდეგ სერგო ორჯონიკიძემ ლენინს გაუგზავნა დეპეშა: „თბილისში საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა ფრიალებს. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“

1956 წლის 21 აპრილს ქალაქის ცენტრალურ მოედანზე გაიხსნა ვ. ი. ლენინის მონუმენტი.

44 წლის მანძილზე თბილისი რუსეთის განაპირა მხარის ტიპიური საგუბერნიო ქალაქიდან გადაიქცა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უდიდეს ცენტრად, რომელსაც მაღალგანვითარებული ინდუსტრია და კულტურა აქვს.

თბილისი კვლავ იზრდება, შენდება, დღითიდღე უფრო და უფრო მშვენდება.

სახე იცვალეს განაპირა უბნებმა, შორს გადაიწია ქალაქის ძველმა საზღვრებმა. რესპუბლიკის დედაქალაქი მრავალმა ახალმშენებლობამ დაამშვენა. თბილისში პირველად მოხვედრილ კაცს ხიბლავს მისი საოცნებო სახის თავისებურება, ახალი პროსპექტების, ხიდებისა და სანაპიროების ხაზთა მკაფიობა, მონუმენტური შენობები, რომლებიც გამოირჩევიან თავიანთი არქიტექტურით, სადაც ასახვა ჰპოვა ქართული ეროვნული ხუროთმოძღვრების მოტივებმა, და, რა თქმა უნდა, მისი შესანიშნავი პროსპექტი რუსთაველისა.

ალექსანდრე ჟუთათელი.



ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ზემოთ, მარცხნივ — საქართველოს მთავრობის სახალხო რუსთაველის პროსპექტზე; მარჯვნივ — პროსპექტის ერთ-ერთი კუთხე. ქვემოთ, მარცხნივ — ილიასა და აკაკის ძეგლი პირველი საშუალო სკოლის შენობის წინ; მარჯვნივ — თბილისის პირველი გიმნაზიის შენობა XIX საუკუნის 40-იან წლებში; დღეს ამ შენობაში მოთავსებულია თბილისის I საშუალო სკოლა, ხოლო მის მარცხნივ აგებულია საქართველოს მთავრობის სახალხე-

მხოლოდ გარანტიით

ნაწარმის საიმედოობისა და ხანგამძლეობის გადიდება მისი წარმოებისა და ექსპლოატაციის ხარჯების შემცირების ყველაზე ეფექტიანი გზაა. როგორც წესი, მანქანების ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული დამატებითი დანახარჯები მათი მუშაობის დროს ანაზღაურდება.

ახლა რესპუბლიკის ბევრ დარგში წესდება პროდუქციის საბითუმო ფასის საპრეისკურანტო დანამატი მისი ხანგამძლეობის გადიდების გარკვეული პროცენტისათვის. ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებისათვის მატერიალური წახალისების პრინციპი მკვიდრდება პრაქტიკაში. ამიტომ ზოგიერთმა საწარმომ დაიწყო საიმედოობისა და ხანგამძლეობის საექსპლოატაციო მაჩვენებლების ზუსტი აღრიცხვა. მათ შორის არის თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხანა. ამ საწარმოში ყველა შესაძლებლობაა იმუშაონ ახლებურად: მას ახლა საუკეთესო ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები აქვს.

ამ მაჩვენებლების ზუსტ აღრიცხვას ახლა დიდი მნიშვნელობა ენიჭება. შემკვეთი, რომელიც დამატებით იხდის პროდუქციისათვის, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ იძენს უფრო კარგი ხარისხის მანქანას. რწმენას კი უქმნის მანქანის ხანგრძლივი გამოცდის მაჩვენებლები, რისთვისაც საჭიროა საიმედო სტენდები. ასეთი სტენდების შექმნაზე მუშაობს ახლა ყველა მანქანათსამშენებლო საწარმო. გამოცდის პროცესში გამოვლინებული ნაკლოვანებანი ადგილზე აღმოიფხვრება.

გარანტიით ჩააბარებენ მომხმარებლებს თავიანთ პროდუქციას აგრეთვე ქარხანა „ელექტროძრავის“, სახეხი ჩარხების, ორჭონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო და სხვა ქარხნების კოლექტივები.



რა იქნებოდა

ვფიქრობდი, ნეტავ რა იქნებოდა
მე, რომ მხატვარი არ ვყოფილიყავ,
არ დამეხატა თეთრი მდელო და
თეთრი ყვავილი ბედის თილისმა...
ვარ მომღერალი საქართველოსი,
ასევე იცის ჩემმა თბილისმა...

ჩემი ქალაქი ქვეყნის ტოლია —
ცაზე გაკრული შოთი პურებით,
რა საოცარი ბედი მქონია,
შევიცან ფერი ჩემი ბუნების —
თბილისის ზღვაზე თეთრი თოლია
და საუკუნის ელნათურები.

სულ ასე იყოს

საღამოს ნისლში გახვეულიყო
ბუჩქი, ყვავილი, ნაზი ბალახი,
სულ ასე იყოს, სულ ასე იყოს,
სულ გვიხაროდეს ქვეყნის დანახვა!

გზად ჩემ სოფელში

თითის წვერებზე დგანან ოდები
შეჭვარტლულები კერიის ბოლით,
მომაგონდებით, მომაგონდებით,
თქვენა ხართ ჩემი სუნთქვა და თოლი.
ღობესთან ჭაა, ჭაში კი ზეცა,
დამალევინეთ ბინული მალე,
ნუ შემეფეთეთ ყველა უეცრად,
თორემ ეგ ეშხი ამოვსებს თვალებს.

კორნელი სანაძე

ახალი ლექსები

შემომეგება შავთვალა ქალი,
და აკაკანდა ბაღში ციცარი,
კითხვის ნიშანი მონუსხა თვალმა,
რომ შევიცვალე, რომ ვერ მიცანით.

მეც გაკვირვება მავსებს და როგორ:
არის თეატრი, არის ქარხანა,
ჩემი მოგვარე ის ჭინკა გოგო
სასიქადულო ქალი გამხდარა.

დამძიმებულა ყველა ტოტი და,
დახვავებულა ფირთა ზვინები.
მოდის ბებია, წარსულს მომიტანს
და ღამით აღარ დამეძინება...

დავტოვებ ეზოს ლაჟვარდ მოფენილს
და მომაცილებს ჩვენი გზა-შარა...
შორს დარჩენილა ჩემი სოფელი,
როგორც ბებიას ჭრელი თავშალი.

ზღაპრები

დამიკოცნია კლდეთა ღაწვები,
გული სიმაღლეს არ დაერიდა,
დავლიე წყალი, კლდიან ნაწვეთი,
ვნახე ქვეყანა ზედაზენიდან.

ვნახე ქვეყანა ცეცხლის ამნთებთა,
ვაჟას ნაბადი, ვაჟას წყარო და,
გზაზე დამდევდა ფიქრი ამ მთებთა,
დავდიოდი და მიმიხაროდა!

მიყვარს

ო, როგორ მიყვარს ზვიადი მთები,
ჩემი ქვეყანა მზით მონანავე,
წიფლების ძირში ლურჯი იები
მზის ამოსვლისას თვალს რომ ნაბავენ.

მიყვარს წყარონი მოცქრიალენი,
თეთრ განთიადის იდუმალება,
მთებში ჯანღი რომ შემომეხვევა
და მოლაღურის ტკბილი გალობა.

მიყვარს წყარონი მოცქრიალენი,
წისქვილის ბრუნვა, მისი კაკანი,
ღრუბლები ცაზე მოციალენი,
დედას რომ ეძებს თეთრი ბატკანი.

დავდივარ, დავალ ბედის მხატვარი,
შევნატრი ველებს, ამ ქედებს, ამ ცას,
სურათთან მიმაქვს ეს ნანატრალი,
ჯერ რომ დავხატო და მერე დამწვას.

ხალოვნების მუზეუმის რეკონსტრუქცია

...კედლებზე ჩამოკიდებულია ცნობილი მხატვრების სურათები, წარსულის არქიტექტურულ ნაგებობათა შესანიშნავი ფრაგმენტები, ძველებური კოსტუმები და სამკაულები. ეს საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ერთ-ერთი დარბაზია. მისის საზურავიდან იფრქვევა, თვალისათვის სასიამოვნო სინათლე. მაგრამ ყოველივე ეს მომავალში იქნება, ჯერჯერობით მხოლოდ პროექტითაა გათვალისწინებული.

— ახალი საექსპოზიციო დარბაზები პრინციპულად განსხვავდება ადრინდელი დარბაზებისაგან, რომლებიც განათებულია გვერდითი სარკმელებით. თქვა ხელოვნების მუზეუმის დირექტორის მოადგილემ ი. ჯავახიშვილმა. ახალი საექსპოზიციო დარბაზები განლაგდება მეოთხე სართულზე, რომლის დაშენებასაც უახლოეს ხანში დავიწყებთ. ახალი სართული არ დაარღვევს შენობის საერთო არქიტექტურას, შესაძლებლობას მოგვცემს 1.500 კვადრატული მეტრით გავადიდოთ საექსპოზიციო ტერიტორია. აქ განლაგდება ახალი ქართული და საბჭოთა ხელოვნების განყოფილება. 1966 წელს მუზეუმს გადაეცემა გვერდით მდებარე საპროექტო ინსტიტუტის დიდი შენობა, რომელშიც მოთავსდება რუსული, დასავლეთევროპული და აღმოსავლური ხელოვნების განყოფილებანი, ხოლო მათ ადგილებს მუზეუმის ახლანდელ შენობაში დაიკავებს არქეოლოგიის ახალი დიდი განყოფილება. სხვა ექსპოზიტებს შორის დამთვალიერებლები აქ გაეცნობიან თამარის დროინდელ უნიკალურ ფრესკებს.

ხელმადლიანი დასტაქარი და მეცნიერი

დასასრული.

სანიტარულ ბატალიონში გიორგის მეტად რთული და მძიმე სამუშაო დახვდა. გამოცდილი დასტაქარის მარჯვენას ელოდა მრავალი დაჭრილი. გიორგი ინასარიძე შეუსვენებლივ მუშაობდა. დღე-ღამეში ხშირად მხოლოდ 3-4 საათი ეძინა. ჰამისთვისაც კი არ რჩებოდა დრო.

1942 წელს მის ცხოვრებაში ერთი ასეთი ამბავი მოხდა. გაზაფხულზე იგი სამედიცინო ინსტიტუტმა მოქმედი არმიიდან გამოიძახა ჯერ კიდევ 1939 წელს დაწერილი დისერტაციის დასაცავად. ფრონტიდან ჩამოსულმა ახალგაზრდა მეცნიერმა 9 აპრილს ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია და მეორე დღესვე კვლავ ფრონტზე წავიდა. იგი აქაც ფრონტული ცხოვრების მძიმე პირობებშიც არ წყვეტდა მეცნიერულ მუშაობას.

გადაიარა ომის ქარტეხილებმა. გიორგი ინასარიძე მშვიდობიან ცხოვრებას დაუბრუნდა და ახალი ენერგიით მოჰკიდა ხელი მეცნიერულ მუშაობას. არმიიდან დაბრუნების შემდეგ ერთხანს ასისტენტად მუშაობდა თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში პირველ ქირურგიულ კათედრაზე, ხოლო 1947 წელს პროფესორად აირჩიეს. 1950 წელს პირველი კატეგორიის ქირურგის წოდება მიენიჭა.

აქ არ შევუდგებით პროფესორ გ. ინასარიძის შრომების ჩამოთვლას. საკმარისია ითქვას, რომ მისმა შრომებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სამედიცინო მეცნიერების განვითარებაში. ეს შრომები ცხადყოფენ, რომ პროფესორი გ. ინასარიძე არა მარტო კარგი კლინიცისტია, არამედ შესანიშნავი ექსპერიმენტატორიც არის.

გიორგი ინასარიძემ პირველად საბჭოთა კავშირში, შეიძლება ითქვას მსოფლიოშიც (ამერიკელი მეცნიერის ბლოკისაგან დამოუკიდებლად) 1934 წელს მედიცინაში გამოიყენა ინფრაწითელი სხივებით ფოტოგრაფირების მეთოდი. სამეცნიერო ლიტერატურაში გ. ინასარიძის ამ აღმოჩენას მაღალი შეფასება მისცეს.

აკადემიკოს კ. ბიკოვის რედაქციით გამოსულ ფიზიოლოგიის კლასიკურ სახელმძღვანელოში შესულია გ. ინასარიძის მიერ დამუშავებული ახალი ოპერაცია ნაღვლის გზების ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის შესწავლისათვის.

უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული შრომებიდან აღსანიშნავია გ. ინასარიძის კაპიტალური შრომა 6 ტომად „სამამულო უროლოგიის ბიბლიოგრაფიული ცნობარი 100 წლის მანძილზე“, რომლის ოთხი ტომი უკვე გამოვიდა, ორი უკანასკნელი ტომიც გადაცემულია წარმოებაში. ჟურნალ „უროლოგიის“ რედაქტორი პროფესორი პიტელი ამ წიგნის გამო გამოქვეყნებულ რეცენზიაში წერს: „საბჭოთა უროლოგიური ლიტერატურა გამდიდრდა ახალი თვალსაჩინო ნაშრომით, პროფესორ გ. ინასარიძის ეს წიგნი მნიშვნელოვანი შენაძენია“.

მეცნიერული მუშაობა გიორგის არასოდეს არ გაუხდია თვითმიზნად, იგი კარგად უფარდებს ერთმანეთს მეცნიერულ და პრაქტიკულ საქმიანობას. ფართო საზოგადოება მას იცნობს, როგორც გამოცდილ და დახელოვნებულ დასტაქარ-უროლოგს.

პროფესორი გიორგი ინასარიძე მეცნიერულ და პრაქტიკულ მოღვაწეობასთან ერთად აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ საქმიანობაში. იგი არის სამეცნიერო კონფერენციების, სესიების, ყრილობების, ექსპედიციების ორგანიზატორი და აქტიური მონაწილე.

1933 წელს იგი იყო საქართველოს ექიმთა საზოგადოების უროლოგიური სექციის დამფუძნებელი კრების წევრი, ხოლო როცა ეს სექცია საზოგადოებად გადაკეთდა, გიორგი ამ საზოგადოებას თავმჯდომარეობდა წლების განმავლობაში. სხვადასხვა დროს იგი იყო საკავშირო ფთიზიატრიული საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე. მან მონაწილეობა მიიღო სტამბოლში გამართულ ფთიზიატრთა მე-15 საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში, 1956 წლიდან არის ჟურნალ „პრობლემი ტუბერკულოზას“ სარედაქციო საბჭოს წევრი და სხვ.

პროფესორი დიდ დროს უთმობს აგრეთვე პედაგოგიურ მოღვაწეობას, ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების აღზრდას. მისი ხელმძღვანელობით არა ერთმა და ორმა მოამზადა და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

ასეთია მოკლედ ომგადახდილი ქართველი მეცნიერის, გამოჩენილი ექიმ-დასტაქარის, შესანიშნავი ადამიანის გიორგი ზაქარიას-ძე ინასარიძის ხანგრძლივი ცხოვრების გზა.

მ. მიქაძე.

მილიონები მოისმენენ

ალბათ, ყველა კინომაყურებელს უწყახვს ფილმი–სპექტაკლი — სცენაზე ხორცშესხმული და ფირზე ასახული დრამატურგიული ნაწარმოები. იგი, არსებითად, თეატრის დადგმის გამეორებაა და, როგორც პრაქტიკა მოწმობს, წარმოდგენის ცუდი ანარეკლია, დიდ შთაბეჭდილებას არ ტოვებს. უკანასკნელ წლებში ფართოდ დამკვიდრდა ახალი კინოჟანრი — ფილმი–ოპერა. ასეთი ნაწარმოებების ავტორებმა საგრძნობლად გააფართოეს სამოქმედო არე, შექმნეს საინტერესო მხატვრული ფილმები, რომლებშიც მუსიკისა და ვოკალის ფონზე მოგვითხრობენ გმირთა თავგადასავალს. მაყურებელთა მოწონებით სარგებლობდნენ საბჭოთა კინოსტუდიების ნამუშევრები „ეუგენი ონეგინი“, „იოლანტა“ და სხვები, საზღვარგარეთული „რიგოლეტო“, „დონ ჟუანი“, „აიდა“...

გაისად მათ რიცხვს მიემატება ქართული საოპერო ხელოვნების თვალმარგალიტი — **ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“.** მას საკუთარი სცენარით დგამს ჩვენი ცნობილი კინორეჟისორი **ლეო ესაკია.**

ფილმი–ოპერა ბევრ სიძნელესთან არის დაკავშირებული. ჯერ ერთი, ზ. ფალიაშვილის ოპერა ორ საათს აღემატება. ამიტომ საჭირო გახდა მისი შეკვეცა. ეს საქმე ითავეს დირიჟორებმა ვ. ფალიაშვილმა და დ. მირცხულავამ, რომლებმაც ზოგიერთი ადგილი ფრთხილად, სათუთად შეამცირეს, ისე, რომ ნაწარმოების ერთიანი მუსიკალური ქარგა არ დარღვეულიყო. მეორე სირთულეა მუსიკის და გამოსახულების დამთხვევა. ფილმს მომღერლები ახმოვანებენ და სულ სხვა შესახოობები თამაშობენ. ამიტომ მსახიობებმა უნდა შეისწავლონ არა მარტო ვოკალური პარტია, არამედ სიმღერის ბევრი ნიუანსი, მომღერლის სუნთქვაც კი. ეს, ცხადია, შრომატევადი საქმეა. აღარას ვამბობთ იმაზე, რომ კინო საშუალებას იძლევა მოქმედება ჟამთავრულად ბუნების წიაღში იქნეს გადატანილი და ამით ნაწარმოებს შთამბეჭდაობის ძალა შემატოს. ეს თავის მხრივ ქმნის ნატურის გულმოდგინედ, მოფერებით შერჩევის აუცილებლობას, რომ ეპოქის სტილი არ დაირღვეს. ამასთან ოპერა ქართულია, სხვა ენაზე არ განმოვანდება. ამიტომ დამდგმელთა მოვალეობაა ნაწარმოები არა მარტო მუსიკით, არამედ სანახაობითაც უაღრესად მეტყველი იყოს.

ზოგი რამ უკვე გაკეთებულია. ფირზე მთლიანად გადაიტანეს მუსიკა პროფ. ვ. ფალიაშვილის დირიჟორობით. ვოკალურ პარტიებს ასრულებენ მ. ამირანაშვილი (თეატრი), ზ. ანჯაფარიძე (აბესალომი), თ. ზეინკლიშვილი (მურმანი), აგრეთვე მომღერლები ლ. გოცირიძე, ნ. ტუღუში, ი. შუშანია, გ. ტორონჯაძე, დ. ჯიტავა, კ. მაღრაძე, მ. თაბუკაშვილი. ჩაწერაში მონაწილეობდა ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ორკესტრი და გაძლიერებული გუნდი (ლოტბარი — გ. ბუხრიკიძე). ცეკვებს დადგამს ქორეოგრაფი ჯ. ბაგრატიონი.

ხანგრძლივი ძიების შემდეგ შეირჩა მსახიობთა შემადგენლობაც. რეჟისორი ძალზე „მაყოფილია ლ. ბაბაზაშვილით, რომელიც ქორეოგრაფიული საწვავლებლის მოსწავლეა და ეთერის როლში გამოვა. აბესალომს განასახიერებს ა. მეტონიძე, მურმანს — ნ. შარია. ფილმში შეეხვედებით აგრეთვე მსახიობებს ა. ომიაძეს, მ. წულუკიძეს, ე. ყიფშიძეს, დ. დანელიას, გ. კოსტავას.

ფილმის მთავარი მხატვარია რ. მირზაშვილი, მთავარი ოპერატორი — ლ. სუხოვი, კოსტუმების ესკიზები შეუქმნა მხატვარმა ი. ასკურავამ, რეჟისორია ი. თარხნიშვილი, ხმის ოპერატორი — ო. გეგეჭკორი, ფილმის დირექტორი — შ. ჭურდიანი.

კოლექტივი ნატურის გადაღებისათვის უკვე გაემგზავრა თეთრი წყაროს რაიონში. იგი აგრეთვე ეწვევა ხობისა და ზუგდიდის რაიონებს.

გამგზავრების წინ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ესაუბრა ფილმის დამდგმელ რეჟისორს ლ. ესაკიას. მან განაცხადა:

—გენიალური ფალიაშვილის „აბესალომი და ეთერი“ მონუმენტური, მღელვარე რომანტიკული ნაწარმოებია, რომელიც მსოფლიო საოპერო კლასიკის საუკეთესო ნიმუშებს თავისუფლად მიეკუთვნება. ამიტომ გასაგებია დიდი პასუხისმგებლობა, რომლითაც საქმეს მოვეკიდეთ. ჩვენი ვალია ხალხის საყვარელი ნაწარმოები ჯეროვნად ავაჟღეროთ, ისე, რომ ყველა ეროვნების მსმენელისათვის ახლობელი და გასაგები გახდეს, მისი დიდებული მუსიკა შეიყვაროს, ვეცდებით ყველაფერი გავაკეთოთ, რომ ფილმი მხარში ამოუდგეს ამ ჟანრის სხვა ქინონაწარმოებებს და მაყურებელთა მადლობა დავიმსახუროთ.

ამრიგად, კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“ კარგი საქმე წამოიწყო. ფილმი–ოპერა „აბესალომ და ეთერი“ ხელს შეუწყობს ჩვენი ეროვნული ხელოვნების პროპაგანდას, მას მილიონობით და მილიონობით ახალი მაყურებელი ეზიარება.

შ. დავითაშვილი.

თბილისის სტუმრები

— ბედნიერი ვარ, რომ ვნახე საქართველო — უდიდესი ჰიდროენერგეტიკული რესურსების მხარე, — თქვა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბრის დროს ჰიდრავლიკური კვლევების საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტმა, პროფესორმა ჯეიმს დეიკინმ. — თქვენსა რესპუბლიკაში დიდი მუშაობა წარმოიეს ჰიდროკვლევის დარგში. ვფიქრობ, რომ ბევრი ქვეყნის მეცნიერები დამეთანხმებიან თუ ვიტყვი, რომ მეტად სასარგებლო იქნება კონტაქტი და მეცნიერული ინფორმაციის გაცვლა ქართველ ჰიდროტექნიკოსებთან.

მსოფლიოს 18 ქვეყნის 65 მეცნიერი და ინჟინერი — წყალთა მეურნეობის სპეციალისტი სტუმრად იყვნენ საქართველოს დედაქალაქში. მათ შორის იყვნენ ისეთი თვალსაჩინო სპეციალისტები, როგორიცაა მოქცევის პირველი ელექტრომაგნიტის პროექტის ავტორი ფრანგი პროფესორი ჟებრა, ჰიდრავლიკური კვლევის საერთაშორისო ასოციაციის ვიცე–პრეზიდენტი, ტოკიოს უნივერსიტეტის პროფესორი ფუმო მასაში, ჩეხოსლოვაკიელი ჰიდროლოგი პროფესორი პეტრე ნოვაკი.

თბილისში სტუმრები იყვნენ ვინტერის სახელობის ჰიდროენერგეტიკის ნაგებობათა სამეცნიერო–კვლევის ინსტიტუტში.

შემდეგ მეცნიერები ეწვივნენ საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო–საკვლევ ინსტიტუტს, სადაც მათ შეხვდნენ საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრი გ. ს. ქოთელია და ინსტიტუტის დირექტორი შ. ს. გაგოშიძე.

სტუმრები გაეცნენ ინსტიტუტის მუშაობას. მათი დიდი ინტერესი გამოიწვია საველმარმა დანადგარებმა, რომელთა საშუალებით საქართველოში ირწყვება 10 ათასი ჰექტარი ჩაის პლანტაცია.

— ქართველმა ჰიდროტექნიკოსებმა, — თქვა წასვლისას ბატონმა ჯებრამ, — დიდ წარმატებებს მიაღწიეს ჰიდრავლიკის მთელი რიგი პრაქტიკული და თეორიული საკითხების დამუშავებაში. ანალოგიური მუშაობა ჩვენშიც, საფრანგეთშიც წარმოებს. იმედი გვაქვს, რომ ქართველ და ფრანგ კოლეგებს შორის დამყარდება მუდმივი საქმიანი კავშირი.

ქართველი მეცნიერის ხსოვნის აღსანიშნავად

ZEITSCHRIFT FÜR PHONETIK



ორი წლის წინათ, თავისი შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნის ასაკში, შეწყდა პროფესორ სერგი ყიღენტის გულისძგერა. გარდაიცვალა შესანიშნავი ადამიანი, ფართო ერუდიციის მეცნიერი, ქართველური ენების ბგერითი სისტემის გამოჩენილი მკვლევარი, ექსპერიმენტული ფონეტიკის აღიარებული სპეციალისტი, რომელმაც აკადემიკოს გ. ახვლედიანთან ერთად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნა თანამედროვე იარაღებითა და ხელსაწყოებით აღჭურვილი მძლავრი სამეცნიერო კერა — ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორია. ს. ყიღენტის კალამს ეკუთვნის 70-ზე მეტი ნაშრომი, რომლებიც დიდი ხანია დამკვიდრნენ ჩვენი მეცნიერების საგანძურში. განსვენებული მეცნიერის სახელი კარგად იყო ცნობილი არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც.

ამიტომ ს. ყიღენტის მოულოდნელად გარდაცვალებამ საყოველთაო გულისტკივილი გამოიწვია. განსაკუთრებული თანაგრძნობით გამოეხმაურნენ ამ სამწუხარო ფაქტს ჩვენი საზღვარგარეთელი კოლეგები, პირველ რიგში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რომლის უნივერსიტეტებში ს. ყიღენტს არაერთხელ წაუკითხავს მოხსენებები და ლექციათა ციკლები. ცოტა ხნის წინათ ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა პროფ. გ. პეჩმა თავისი ახალი გამოკვლევა „ინტერნაციონალიზმები ქართულ ენაში“ (1964 წ.) მიუძღვნა ს. ყიღენტის ხსოვნას. გამოხმაურებათა გამოქვეყნება ჯერაც არ შეწყვეტილა და ახლაც გრძელდება.

ამ დღეებში თბილისში მივიღეთ ბერლინის აკადემიის „ფონეტიკური უურნალის“ (ს. ყიღენტი, სხვათა შორის, ამ უურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრად იყო არჩეული) ახალი ნომერი (ტ. 16, ნაკეთი 5), რომლის ფურცლებზე ფართო ადგილი ეთმობა პროფ. ს. ყიღენტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მიმოხილვას.

უურნალში დაბეჭდილია გამოჩენილი გერმანელი მეცნიერის პროფესორ გეორგ მაიერის სტატია „სერგი ყიღენტის ხსოვნას“, თვით ს. ყიღენტის პორტრეტი და შრომების სრული ბიბლიოგრაფია ქართულსა და გერმანულ ენებზე.

გერმანელი მეცნიერი საუკეთესო შეფასებას აძლევს ს. ყიღენტის ღვაწლს ექსპერიმენტულ ფონეტიკაში და მის გამოკვლევებს მეცნიერების ძვირფას შენაძენად მიიჩნევს.

სტატიაში ვკითხულობთ: „1963 წლის 5 სექტემბერს პროფესორი სერგი ყიღენტი ბერლინს გამოგზავნილ თავის უკანასკნელ წერილში მწერდა, რომ იგი სიხარულით მოელის ჩემს ჩასვლას თბილისში და იმედს გამოთქვამს, რომ ეს ჩასვლა „მშვენიერ თაფლის შემოდგომას“ მოხდებოდა. როდესაც რამდენიმე დღის შემდეგ თბილისში მის საფლავს ვამკობდი გვირგვინით, რომელსაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ემბლემა ჰქონდა, მის სამშობლოში მართლაც „თაფლის შემოდგომა“ იდგა, მაგრამ ჩვენს მეგობარს, ს. ყიღენტს, მისი ხალვა უკვე აღარ შეეძლო. ის იყო 51 წელი შეუხრულდა და გულის უეცარმა შეტევამ შეწყვიტა მისი სიცოცხლე“...

ს. ყიღენტის შრომების ბიბლიოგრაფია დაყოფილია ორ ნაწილად: პირველ ნაწილში წარმოდგენილია მონოგრაფიები, მეორე ნაწილში — ცალკე გამოკვლევები და სტატიები.

გ. სურგულაძე.

სპორტული ეპოსი

პირველად საბჭოთა სპორტის ისტორიაში მსოფლიოს ჩემპიონი ტრეკზე ველორბოლაში გახდა ქართველი სპორტსმენი, 21 წლის ომარ ფხაკაძე. „ტრეკის მეფე", „ტრეკის ვეფხვი" და კიდევ სხვა არანაკლებ აღფრთოვანებული ეპითეტები მიუძღვნა ესპანეთის პრესამ ქართველ ჭაბუკს.

□ ო. ფხაკაძის ტრიუმფი □ ხუთი ჩემპიონი საქართველოდან □ „რიგის ფრონტზე" დაძაბულობაა □ ფეხბურთის ავკარგი

სპრინტი მეფური დისტანციაა ტრეკზე ველოსრბოლაში და სწორედ ეს არის სასიხარულო. ო. ფხაკაძის ოქროს მედალი ძვირფასია არა მარტო იმით, რომ იგი პირველია ამ სახეობაში, არამედ კარგად რომ წარმოვიდგინოთ მისი წონა, უნდა ვიცოდეთ თუ რა აღგილი უკავია სპრინტს ველოსპორტში საერთოდ. ყოველი უმაღლესი კლასის მრბოლელის თვისებების კვინტესენცია— სახაზო სისწრაფე და ფეთქებადი სისწრაფე ე. ი. როცა შეგიძლია ადგილიდან განვითარო სპურტი, ელვისებური რეაქცია მოწინააღმდეგის ნებისმიერ მოძრაობაზე და ბოლოს გამახვილებული სტრატეგიული აზროვნება, როდესაც წამებში უნდა გადაწყვიტო და გამოთვალო ათობით ტაქტიკური ვარიანტი — აი ამიტომ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ო. ფხაკაძის მიერ მოპოვებული ოქრო უმაღლესი ხარისხისაა.

ომარ ფხაკაძემ ღირსეულად მოიპოვა პირველი ადგილი. ბუნებამ უხვად დააჯილდოვა იგი იმ თვისებებით, რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. მას ათლეტური აგებულება, უდიდესი ტემპერამენტი, კარგი სპორტული უინი და დიდი პოტენციალი გააჩნია.



რ. რურუა.

როდესაც ომარი სანსებასტიანიდან თბილისში დაბრუნდა, აღფრთოვანებულმა თაყვანისმცემლებმა მსურველ შეხვედრა მოუწყეს დედაქალაქის აეროპორტში. ჟურნალისტებთან საუბარში მსოფლიოს ჩემპიონმა ასე გამოხატა თავისი სიხარული:

— მე მინდოდა მხოლოდ ნახევარფინალში გავსულა, მაგრამ როცა ფინალის პირველი გარბენი წავაგე, შეიძლება ეს უცნაურიც მოგეჩვენოთ, სწორედ მაშინ ვიგრძენი, რომ შემეძლო მოგება. არასოდეს მანამდე ჩემი თავის ასეთი იმედი არ მქონია. მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ჩემი გამარჯვება გაიზიარა.



ზ. ბერიაშვილი

ო. ფხაკაძეს მსოფლიოს ჩემპიონატში წარმატებით გამოსვლისათვის სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა მაღალი ჯილდო — სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიანიჭა, „სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი" გახდა მისი მწვრთნელი გ. ჯობაძე.

მეტად მოსავლიანი აღმოჩნდა სექტემბერი ქართველი მოჭიდავეებისათვის. ხუთი ოქროს მედალი თავისუფალ და ერთი ოქროს მედალი კლასიკურ ჭიდაობაში, კიდევ ერთი ოქრო წყალში ხტომაში ტრამპლინიდან. და ეს ყველაფერი — საკავშირო ჩემპიონატებზე.

ანგარიში თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა გახსნეს. თბილისია სპორტის სასახლეში 4 დღეს გრძელდებოდა საკავშირო ჩემპიონატი უმჩატეს, ქვემსუბუქ, ქვესაშუალო და ქვემძიმე წონათა კატეგორიებში.

მოულოდნელი და ამიტომ ყველაზე სასიხარულო დებიუტანტის 19 წლის ბ. ალიბეგაშვილის (უმჩატესი წონა) გამარჯვება იყო. მან პირველად მიიღო ოქროს მედალი. ქვესაშუალო წონაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ს. ჭარსაულიძე გახდა. მსოფლიოს ჩემპიონს გ. საღარაძეს კარგად იცნობენ ყველგან და არავის გაჰკვირვებია როცა იგი გამარჯვების კვარცხლებულზე ავიდა. გ. ლომიძე საშუალო წონიდან ქვემძიმეში გადავიდა და მისი წათლობა მართლაც იღბლიანი გამოდგა. მან დამაჯერებლად მოიგო პირველი ადგილი.

დანარჩენ წონათა კატეგორიებში ოქროს მედლების ბედი ერევანში წყდებოდა. და აი იქიდანაც მოვიდა სასიხარულო ცნობა. მსუბუქ წონაში ჩემპიონი ზარიგეგ ბერიაშვილი გახდა.

ამრიგად საკავშირო პირველობა ქართველ მოჭიდავეთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. მათ 5 (რვიდან) ოქროს და სამი ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს, რაც იმას მოწმობს, რომ საქართველოს კვლავ მოწინავე პოზიციები უჭირავს სამამაულო სპორტში.



ომარ ფხაკაძე.

რიგიდანაც სასიხარულო ცნობა მოვიდა. იქ უკვე დამთავრდა ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. ქვემსუბუქ წონაში მესამეჯერ ზედიზედ უმაღლესი ჯილდო რომან რურუამ მოიპოვა. რიგაში მხოლოდ ოთხ წონით კატეგორიაში მიმდინარეობდა პირველობა. დანარჩენი ოთხი ოქროს მედლის ბედი კაუნასში გადაწყდება. ვფიქრობთ იქიდანაც მივიღებთ სასიამოვნო ცნობებს.

თბილისელმა ბ. პოლულიახმა, მას შემდეგ, რაც ორჯერ გახდა საკავშირო ჩემპიონი, წელსაც დაამტკიცა, რომ უძლიერესია და ვოლგოგრადში გამართულ ასპარეზობაზე პირველი ადგილი დაიკავა, მის მერე დაგროვილი ქულები — 172,79 ყველაზე მაღალია უკანასკნელ წლებში ნაჩვენებ შედეგებზე.

მატჩი მსოფლიოს პირველობაზე ჰადრაკში ქალთა შორის დაიწყო ლატვიის დედაქალაქ რიგაში. მსოფლიოს ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა და პრეტენდენტმა ალა კუშნირმა უკვე ითამაშეს ორი პარტია. თუ პირველ პარტიაში ნონა მოწოდების სიმაღლეზე იყო (იგი შავებით იბრძოდა) და დამსახურებულადაც გაიმარჯვა, მეორე შეხვედრა ერთობ საუსტაროდ წარმართა. თამაშის გართულებას მიზნით მან მოულოდნელად და გაუმართლებლად მხედარი შესწირა მეტოქეს და დამარცხდა. მატჩის ანგარიში 1:1 გახდა. სპეციალისტებში ეჭვს არ იწვევს ის, რომ ნ. გაფრინდაშვილი შეინარჩუნებს უმაღლეს ტიტულს და ეს წარუმატებლობა სტარტზე ალბათ დროებითია.

თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები შეეცადნენ ჩატარებული მატჩების შემდეგ კვლავ ჩაებნენ საკავშირო ჩემპიონატში (შეეცადნენ მათ ორჯერ ითამაშეს, ერთი წააგეს — 1:4 მეორე მოიგეს — 3:2). პირველი ორთაბრძოლა მათ ლენინგრადში ჰქონდათ. ეს მატჩი ფრედ 2:2 დამთავრდა, ასევე ფრედ — 0:0 დამთავრდა მათი შეხვედრა მოსკოველ თანაკლასელებთან.

საბჭოთა ნაკრებს ოქტომბერში შესარჩევი მატჩები მოელის მსოფლიოს პირველობაზე. პირველ შეხვედრას ჩვენი ფეხბურთელები ათენში გამართავენ 3 ოქტომბერს. ამ ორთაბრძოლისათვის სხვებთან ერთად ოთხი ქართველი ფეხბურთელი — მ. ხურცილავა, ს. მეტრეველი მ. მესხი და ა. კავაზაშვილი — ემზადებიან. კიდევ სამი დინამოელი ვ. ჭელიძე, ვ. რეხვიაშვილი და ა. ილიად ახალგაზრდულ ნაკრებში არიან შეყვანილნი და მოსკოვის საერთაშორისო ტურნირში ღებულობენ მონაწილეობას.

გასული წლის ჩემპიონი როგორც ჩანს თანდათანობით თავს აღწევს კრიზისს, თუმცა შარშანდელი ფორმის აღდგენაზე ლაპარაკი ზედმეტია.

წარუმატებლად გამოდიან ქუთაისელები. მათ დღეისათვის მხოლოდ 14 ქულა აქვთ და „ა" კლასში დარჩენის მხოლოდ თეორიული შანსები გააჩნიათ.

საქართველოს დედაქალაქის სპორტის სასახლეში დაიწყო ხელბურთში სსრ კავშირის პირველობის დასკვნითი ტური. თბილისის „ბურევესტნიკი", შარშანდელი ჩემპიონი, ვერ არის სათანადო ფორმაში და დღეისათვის ლიდერს — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდს ხანი ქულით ჩამორჩება. შეძლებენ თუ არა ქართველი სტუდენტები ოქროს მედლების შენარჩუნებას? ეს ამ რამდენიმე დღეში გაირკვევა.

ო. ლორთქიფანიძე.



გ. საღარაძე.



შ. ლომიძე.



ს. ჭარსაულიძე.



ბ. ალიბეგაშვილი.

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე. შუა ევროპის დროით საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი. მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე—50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი მისამართი

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.